

საგაზეთო



საერთაშორისო გაზეთი ხუთშაბათი 6 აპრილი 2006 №76 (2698)

ფასი 50 თეთრი

საქართველო

ვიტ ჯორჯიაშვილი სიონს თვალუბური შეხედა



„ზესტაფონი“ — „სიონი“ 0:1. ფრე „ვიტ ჯორჯიაშვილი“ სასარგებლოდ, რომელიც ბოლნისელებს გაუთანაბრდა



გერმანელაბმა ქართველების გაფუჭებული დროის მანქანა შეაკეთეს **მინგუა** **შესაპრები** **შეპრიბა**

მეპარემები: ნური რევიშვილი (რუბინი, რუსეთი), რევაზ თევდორაძე (თბილისი);

მცველები: ვიორგი სეთურაძე (მათუმი), მათე ლვინიანიძე (ლოკომოტივი, რუსეთი), დავით იმედაშვილი (ვიტ ჯორჯია), დავით ვიგაური (დინამო), ზაალ ელიაშვილი (სკონტო, ლატვია);

ნახმარამცველები: ჯაბა კანკავა (არსენალი, უკრაინა), ვიორგი ვანუერავა, ალექსი ბენაშვილი, ვივი ფიფია (სამივე ზესტაფონი), ვიორგი მერუბაშვილი (დინამო), ვიორგი ფოფხაძე (ოლიმპიკოსი, საბერძნეთი), რევაზ გეგუაძე (მორჯომი);

თავდასაცემლები: ვიორგი ჭელიძე (ლოკომოტივი, რუსეთი), ითარ მარცვალაძე (დინამო, უკრაინა), ნიკოლოზ გელაშვილი (ვიტ ჯორჯია).

ოთხშაბათიანი ოთხი შეპრა



ნახმარამცველი
მილანი — ბარსელონა
არსენალი — ვილიარეალი



მალაზა მუსაბეგოვი

AFP ტურინიდან

AFP ტურინიდან



საქართველოს ეროვნული ფეხბურთის ფედერაცია

საპროფესიო კონფედერაცია

საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

მეორე წრე

23 ტურში



მაგალაზი ქუთაისში ზესტაფონიდან



უმაღლესი ლიგა, უმაღლესი გოლების გავლით

მომ. 5 აპრილი. 16 საათი. მართლი. 100 მყურებელი

სანიკიძე 1:2 გორჯოვი

10 თაყაძე (45მ), 11 სანიკიძე (68მ), 12 გორჯოვი (74)

Table with 2 columns: Goalscorers and Assists. Lists player names and their respective goals and assists.

რატომ გაუშვით მახარაძე? რა ხდება ქართულ ფეხბურთში? ახალგაზრდა დისკუსია გულშემატკივართან

ზესტაფონი. 5 აპრილი. 16 საათი. მართალი. 7 000 (ტევადობა 10 000)

ზესტაფონი 0:0 სიონი

Match report table for Zestafoni 0:0 Sioni. Lists scorers, goalscorers, assists, and other match details.

დავით თამარაძეზე ზესტაფონიდან

ეროვნული ჩემპიონატის გულის ფეხი პერიოდისა და ზესტაფონი იქაური ქობაკობა დიდი ინტერესით ელოდა ამ მატჩს — ეს იყო „ზესტაფონის“ პირველი საშინაო შეხვედრა გუნდიდან მთავარი მწვრთნელის თემურ მახარაძის წასვლის შემდეგ.

ვაძახეო ყურადღება. რაც შეეხება შედეგებს, ვფიქრობ, ბენაშვილს ჩვენი თამაში არ დაუსუსტებია, მის გადაცემას საგოლე მომენტი მოჰყვა, რომელიც ნოზაძემ ვერ გამოიყენა.

ტარიელ შოთენიაშვილი გორიდან

გორში წვიმიანი ამინდი იყო და მატჩის მეორე ტაიმისას გამოიღარა.

და მაინც, პირველ ტაიმში გოლი გავიდა: მიხეილ თაყაძემ კარის გასწვრივ მწველედ ჩააწოდა, მარცხენა კარიდან გამოვიდა და საბა სულთანიშვილი მოცულა — თაყაძემ უნაკლოდ შეასრულა პენალტი და 1:0.

შესვენების შემდეგ „ბორჯომის“ შტურში მოაწყო, რასაც ველარ უძლებდა „ცხინვალს“ და 59-ე წუთზე რევაზ გეგეჭიაძის კუთხურის ლევან სანიკიძის თაყური მოსყვა და შეხვედრამ ისევ ძნელი ბურთი მოიგერია.

ფაქტების პროექტი: მატჩი ქუთაისში იხსნება და ზესტაფონში ითავაშებს

2007 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლს საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრები მალტელ თანატოლებთან პეკერობით იწყებს — პირველი მატჩი 12 აპრილს გაიმართება მალტაზე, საბასუხო კი 26 აპრილს საქართველოში, მაგრამ რომელ ქალაქში?



საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

მეორე წრე

23 თებერვალი

თბილისმა პლეი ოფში გაემიხედა

კომპიანსარიძე

პირველად ამ ჩემპიონატში: „თბილისმა“ სატურნირო ცხრილის ფსკერიდან ამოყვინთა და ადგილი „სპარტაკს“ გაუცვალა. კიდევ ორისამი ასეთი მატჩიც და, თბილისელები საწადელსაც მიადწევენ და პირველი ლიგის რომელიმე გუნდთან უმაღლესში ადგილის შესანარჩუნებლად პლეი ოფში ითამაშებენ. სწორედ ესაა წლეულს „თბილისის“ სამიზნე. თანაც, საამისოდ გოჩა ტყეშელაშვილს კალენდარიც ხელს უწყობს, „ამერთან“ და „ბათუმთან“ დარჩენილ მატჩებს თუ არ ჩავთვლით, დანარჩენ შეხვედრებში თბილისელებს მეტოქედ ისეთი გუნდი არ ჰყავთ, ვერ მოუგონ.

გუშინდელი თამაში მასპინძელთა აშკარა უპირატესობით დაიწყო და შესვენებამდე მათ ყველა საგოლე მომენტი რომ გამოეყენებინათ, მეტოქეს ძალიან დიდი ანგარიშითაც გაისტუმრებდნენ.

ერთი გოლის გატანა „თბილისმა“ დასაწყისშივე მოახერხა: მარჯვენა ფლანგიდან თორნიკე აფციაურის ჩაწოდებულ ბურთს მასპინძელთა ტანმაღალმა ცენტრფორვარდმა რევაზ ბარაბაძემ დასარტყმელი ადგილი ზუსტად შეურჩია და თავურით თავისიანები დააწინაურა.



გოჩა ტყეშელაშვილი

„ტორპედოს“ გათანაბრება წუთში შეეძლო. შეტევაში ზვიად ჩხეტიანი ჩაერთო და მიხეილ ალაიძეს სთვით ახლო გატანა სცადა, მაგრამ ვეღარ მოზომა. სამაგიეროდ კი, მანვე „თბილისის“ საპასუხო შეტევისას იყოჩაღა, მეტოქის კარიდან თავისამდე სწრაფად ჩაირბინა და აფციაურის დარტყმული ცარიელი კარიდან ვარდნილ გამოიტანა. საინტერესო ეპიზოდი იყო...

შესვენებამდე ქუთაისელებს სხვა საგოლე შანსი აღარ ჰქონიათ, „თბილისს“ კი რამდენჯერმე კიდევ შეეძლო გატანა. მასპინძლებს არ უმატოვებდათ — ხან შემტევეებს მიზანი ღალატობდათ, ხანაც ბურთს მეკარე სერგო ჭურაძე და მცველები ელოებოდნენ. თუმცა მოგვიანებით გოლი მაინც ვნახეთ: არჩილ სახვაძემ მარჯვენა ფლანგიდან კუთხური რომ ჩააწოდა, ახლო ძელთან ბურთი ლევან ბერიაშვილს აეჭრა — ჭურაძე უძღური იყო.

შესვენებაზე რევაზ ძიძუაშვილმა ორმაგი შეცვლა გააკეთა და მისი გუნდის თამაშიც მნიშვნელოვნად გამოსწორდა. სტუმრებს გატანა მატჩის განახლებისთანავე შეეძლო, მაგრამ აშკარა საგოლე ვითარება მცველებმა რის ვაი-ვაგლახით განმუხტეს. თამაში უკვე მილიანად

„ტორპედოს“ მიჰყავდა და ანგარიშში სხვაობაც მალევე შემცირდა: ლევან კორღალიძემ თავისივე წამოწყებული შეტევა თავადვე დაასრულა — მარჯვნიდან კოტე დარსანიას ჩაწოდებულს ზუსტი თავური შეაგება. ამ გოლით შეგულიანებულ ქუთაისელებს მატჩის გადარჩენის იმედიც მიეცათ და შეტევას შეტევა მიაცილეს. მწვრთნელმა კი მალევე საქმეში კიდევ ერთი თავდამსხმელი დავით ჩიღვინაძე ჩართო. „ტორპედოს“ საგოლე შანსები კი ჰქონდა, მაგრამ თავდამსხმელებმა სახეირო ვეღარაფერი გააკეთეს, არადა, სულ ზუთი-ექვსი მეტრიდან ურტყამდნენ.

„თბილისი“ კი მხოლოდ შეტევის ჩაშლით როდი იყო დაკავებული, მასპინძლებიც ძალიან მწარედ ინვოლუტებოდნენ და „ტორპედოს“ არანაკლები შანსები გაუცუვლდათ. მატჩის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე არბიტრმა დავით ხარიტონაშვილმა „ტორპედოს“ კარიდან სამ მეტრში სულაც თავისუფალი დარტყმა დანიშნა — ჭურაძემ ხელებში მცველისგან მიღებული ბურთი აიღო. „ტორპედოს“ რვა ფეხბურთელი კარის ხაზზე გამწკრივდა. თბილისელებმა ზედოხედ ორჯერ დაარტყეს, მიზანს კი ვერ მოარტყეს. თუმცა, საბოლოოდ, სამი ქულა შეიმატეს და, როგორც ვთქვით, ბოლო ადგილიც „სპარტაკს“ დაუთმეს...

თბილისი. 5 აპრილი. 16 საათი. 17000 მყურებელი

თბილისი 2:1 ტორპედო

1:0 ბარაბაძე (3), 2:0 ბერიაშვილი (32ს.კ.), 2:1 კორღალიძე (52)

თბილისი: მ. ალაიძე, ლ. კვარაცხელია, მიხეილშვილი, მიქიაშვილი, სახვაძე, გუშარაშვილი, ხოჯავა (ბარაბაძე 75), ხოხონიშვილი, აფციაური, ბესარაშვილი (მ. ბურნაძე 69), რ. ბარაბაძე
სათადარიგო: თევდორაძე, ხუციშვილი, მ. ბარაბაძე, ბერიძე, კაკაბაძე
მწვრთნელი: გოჩა ტყეშელაშვილი

ტორპედო: ჭურაძე, ზ. ჩხეტიანი, გამეზარდაშვილი, ბერიაშვილი, დოლონაძე, პარამონოვი, ხურცილავა (ჩიღვინაძე 55), გ. ყიფიანი (დარსანია 46), რ. კვერნაძე, კორღალიძე, მ. ლონდაძე (ძიძუაშვილი 46)
სათადარიგო: მიგინიშვილი, კობახიძე, დ. ჯიანაშია, გორგოძე
მწვრთნელი: რევაზ ძიძუაშვილი

ბაზრისი: ყიფიანი (35), გამეზარდაშვილი (41)

მსაჯენი: დ. ხარიტონაშვილი; ლ. თოდრაძე, ზ. ერქვანია; ვ. ელისაბეგაშვილი

დამაკვირვებელი: მ. ქელიძე

**სიასლე
ჯეოსელისგან
ჭამ-მიქსი!**

**GEO *123#
ჭამ MIX მიქსი**



wap.geocell.com.ge

აკვირეთ
*123*9# YES

მოხინებ ალურად დაადგინეთ

**მიმღიონარე
ს ე უ მ ხ ბ უ რ ი მ
მ ე ტ ჩ მ ხ ი ს ე ნ ბ ე რ ი მ მ ხ ი**

LIVE

SCORE



საქართველოს პროფესიონალი ფეხბურთის ლიგა

საქართველოს XVII ჩემპიონატი

ფეხბურთის

ფეხბურთის

23 თებერვალი

დინამოს მეორე საერთოლიანები

არც კარლოსი და არც ჟუნიონი

თბილისი. 5 აპრილი. 16 საათი. ირმწმული. 500 (ტევადობა 70 900)



დინამო 3:0 სპარტაკი



1:0 იაშვილი (13), 2:0 მეგრელაძე (73), 3:0 შაშიაშვილი (85)

დინამო: სტურუა, ორბელიანი, გიგაური, შაშიაშვილი, ლ. ბურდული (გ. მერებაშვილი 42), ს. კობახიძე, ახალაია, ვ. დარასელია, ლ. ნოზაძე, მეგრელაძე (ლობჯანიძე 84), ს. იაშვილი (ჯ. დვალი 64) სათადარიგო: ლორია; გ. თომაშვილი, ვ. მასარაძე, ბობოხიძე

მწვრთნელი: ანდრეი ჩერნიშოვი

სპარტაკი: ნაფეტვარიძე, ელიზბარაშვილი (რატია 74), ჯანგიძე, იმნაიშვილი, ტაბიძე (ხარაიშვილი 46), მაისაშვილი, თ. მჭედლიშვილი, ჯიბლაძე, ვ. შალამბერიძე, სუბუა, ოქროშიაშვილი (მალაფერიძე 65) სათადარიგო: ლაძაძე, გაგნიძე, მალიჩავა, ილ. მოდებაძე

მწვრთნელი: ჯუშუბერი აბაშიძე

გაზრდის ნაკადი: კობახიძე (54), მჭედლიშვილი (57), იაშვილი (68), მერებაშვილი (77)

მსაჯე: მ. ბეუქელიშვილი; ი. უკლება, ო. მოლოდინაშვილი; ა. ნონიკაშვილი

დამკვირვებელი: ვ. ბარჭია



გიორგი მეგრელაძის ჭეშქარი

ილია ნანოგაშვილი

ამდენი წვალეზა-წაგების შემდეგ „დინამო“ საკბილო იშოვა და ერთ-ერთ აუტსაიდერ „სპარტაკს“ ადვილად მოუგო. აბა, როგორ ვთქვით, ანდრეი ჩერნიშოვის გუნდმა იფრინაო — ძნელია, სრული ძალებით ითამაშო, როცა ცალი ფეხით იგებ. გამოდგება თუ არა „სპარტაკის“ ძლიერ დინამოელთა ტონუსად, ამას მომდევნო ტურები დაგვანახებს.

ჩერნიშოვმა 3-5-2 სქემა აირჩია, სადაც ორი სიურპრიზი მოგვხვდა თვალში: ლადო ახალაიას ცენტრალურ ნახევარმცველად დაყენება და დებიუტანტ სანდრო კობახიძისთვის მარცხენა ფლანგის ჩაბარება. ახალაია შეუმჩნეველი ფიგურა იყო, კობახიძეს კი შეცდომები მრავლად ჰქონდა, თუმცა ძალიან აქტიურობდა და რამდენჯერმე კარგი სოლოც მიაწყო.

პირველი გოლი მე-13 წუთზე თავდასხმის დუეტმა გამოაცხა: სპარტაკელმა რატი ტაბიძემ ფლანგზე რატომღაც თავისუფლად ჩააბარა ბურთი ვია მეგრელაძეს, რომელმაც ზედ თავზე დაასვა სანდრო იაშვილს და 1:0.

„იაშკას“ უფრო ადრეც შეეძლო გატანა, თუმცა მეკარესთან პირისპირ გასვლისას ვერ იხერია...

„სპარტაკმა“ პირველ ტაიმში (და მილიანად მატჩშიც) ერთადერთხელ დაარტყა კარის ჩარჩოში, თუმცა ეს იმდენად იოლი ნადავლი იყო, ზვიად სტურუა არც გადამხტარა.

საკვლევ მომენტები არც მეორე ნახევარში გადაგვიდოდა თავზე, დინამოელები უფრო შორიდან დარტყმებს ეძალებოდნენ, ოღონდ რობერტო კარლოსისებური ან ჟუნიონოსებური ნაღდად არაფერი გვიანახავს.

მასპინძელთა საძირკვეთაში გოლები კი სტანდარტულებიდან გავიდა: 73-ე წუთზე ვიტალი დარასელიას ნაკუთხურალზე ჯაბა დვალი იბროლა, მეკარე დავით ნაფეტვარიძესაც ბურთი ხელიდან გაუვარდა და მეგრელაძემ ცარიელ კარში დაამატა.

წერტილის დასმა კი გიორგი შაშიაშვილმა იკისრა. 85-ე წუთზე იმავე დარასელიამ ჩააწოდა საჯარიმოდან და „შაშიაშვილი“ უძლიერესი თავური შეაგება — 3:0.

საინტერესო ისიც იყო, რომ ეროვნულ სტადიონს ყველაზე მეტად ზვიად სტურუა ახმაურებდა — „დინამოს“ მეკარე წამდაუწუმ ამხნევებდა თანაგუნდელებს ხმაძალი შეძახილებით, მიუხედავად იმისა, რომ „სპარტაკს“ მის კართან ბუზიც არ აუფრენია.

და რაც შეეხებათ „დინამოს“ ბრაზილიელებს, ვიფიქრებ 18 კაცში ვერ მოხვდა, ამბროზიოს კი სიცხე ჰქონია...



ანდრეი ჩერნიშოვი

თბილისი. 5 აპრილი. 16 საათი. შავარდენი. 300 (ტევადობა 1 000)

სოხუმი 1:1 დილა

0:1 გალოგრე (26), 1:1 ნოზაძე (50)

სოხუმი: ავ. ლაბაძე, ლ. აბშიძე, ფანია ჭყოიძე, მაიალაძე, გ. ხაჩიძე, ბართია (ტურგუჩიანი 83), ი. ჭანტურია, გაგუა, ა. ნოზაძე, ი. სიხარულიძე სათადარიგო: ჯინჭარაძე, მოლოდინი, კახელაშვილი, მამფორია, გოგიტაძე, გაგნიძე

მწვრთნელი: გოჩა ფორგოლიანი

დილა: გეგეშიძე, დ. მისურაძე (ნუნუაჯა 81), გვარჯიანი, გალოგრე, გ. მასურაშვილი, საყვარელიძე (გ. ლაცაბიძე 72), შატაკიშვილი, კუბალაია, ლ. კობახიძე, ლ. თურმანიძე, ჯოხაძე სათადარიგო: თ. ილურიძე, ვაჩიშვილი, ბ. ხაჭიპერაძე, ოლგესაშვილი, ლავრელაშვილი

მწვრთნელი: მალხაზ ლაცაბიძე

გაზრდის ნაკადი: ჭყოიძე (53)

მსაჯე: ა. ორდინიძე; ვ. ბერაძე, ს. სპიციანი; ო. ხეცაძე

დამკვირვებელი: მ. მალაფერიძე

გიორგი ვაშაძე

ბრძოლა გადარჩენისთვის — მოკლედ ასე შეიძლება შევაფასოთ გუმინდელი მატჩი, რომლის შემდეგაც პრესკონფერენციაზე ორივე გუნდის მწვრთნელმა მწვავე პოლემიკა გააჩაღა.

გოჩა ფორგოლიანი, „სოხუმის“ თავ...

კაკი: „მსაჯობით უკმაყოფილო კი არა, აღშფოთებული ვარ. უბრალოდ, მაინტერესებს, რა ნიშანს დაუწერს მატჩის კომისარი ორდინიძეს. ასეთი მიკერძობება არ მინახავს, გორმა ამ ქულით ეგებ პლეი ოფიც კი გაინაღდა, ჩვენ კი, ფაქტია, გავვარდით უმადლესი ლიგოდან“.

მალხაზ ლაცაბიძე, „დილას“ მწვ...

ყველაფერში დამნაშავე ის არის სოხუმმა და დილამ მსაჯი განსაჯოს

ვრთნელი: „მე იქით ვარ უკმაყოფილო. მეტიც, სერიოზული პრეტენზიები მაქვს მსაჯებთან. სამი ქულა ორივე გუნდს პაერივით გვჭირდებოდა და, ვფიქრობ, შედეგი ლოგიკურია. რაც შეხება იმას, მოგვხვდებით თუ არა პლეი ოფში, ვერ კიდევ გასარკვევია, წინ ხომ თამაშება“.

ასეა თუ ისე, უმადლეს ლიგაში დასარჩენად მებრძოლთა თამაში სანახაობრივად მართლაც თვალსასვირო გამოდგა — პირველ ტაიმში გორელებმა აშკარად აჯობეს მასპინძლებს, რისი დასტურიც დავით გალოგრეს გოლი გახლდათ. მეორეში კი სოხუმელებმა იძაღეს, ტემსაც უმატეს, მომენტებიც შექმნეს, თუმცა მხოლოდ არჩილ ნოზაძის ზუსტ დარტყმულს გამოირჩნენ. ახ-

ლა თავად განსაჯეთ, რამდენად ლოგიკურად დასრულდა მატჩი.

...სტუმრებმა თავიდანვე აუღეს ალღო ვითარებას, ბურთსაც მეტწილად ისინი ფლობდნენ და თამაშსაც აკონტროლებდნენ. 26-ე წუთზე გორელებმა კუთხურის ჩაწოდების უფლება მოიპოვეს. ქრისტეფორე შატაკიშვილის ჩაწოდებულს სოხუმელთა საჯარიმოში არეულობა მოჰყვა, რითაც კარვად ისარგებლა გალოგრემ და ავთანდილ ლაბაძეს დაუცველ კუთხეში გაუტანა. სწორედ ამ ეპიზოდს მოჰყვა ნამატჩევს ჟორჯოლიანის გაცეცხლება, ორდინიძემ გოლამდე არარსებული კუთხური მოიგნაო. პირველ ტაიმში მეტი არც არაფერი მომხდარა, თუ სოხუმელების, ვალერი გაგუას და ირაკლი ჭანტურიას მეტწაკლებად

სახიფათო შორეულ გასროლილებს არ ჩავთვლით.

მეორე ნახევარში კი „შევარდენზე“ შეკრებილმა სამასილედ ქომაგმა სულ სხვა ფეხბურთი იხილა. მასპინძლებმა ტემპს უმატეს, ბურთსაც ჭკვიანურად ათამაშებდნენ, სტუმრებმა კი კონტრშეტევაზე არჩიეს თამაში. ტაიმის დასაწყისშივე დაცვაში ჩაჯვრდნა მძირად დაუჯდათ ლაცაბიძის შეგირდებს — 50-ე წუთზე ირაკლი სიხარულიძის გამჭოლ პასს საჯარიმოში არჩილ ნოზაძე ბოლომდე შეჰყვა, მეორე კორპუსით ბურთს არ გააკარა და ვარდნაში დაურტყა კახა გეგეშიძეს — 1:1.

ამის მერე მომენტებმა და დაძაბულობამ იმატა, მეტოქენი ერთმანეთს არაფერს უთმობდნენ, მაგრამ...

ბალახის პასი და მილანის სპანსი



„ლიონმა“ „მილანს“ თავი დაუხარა

მილანი (იტალია) 3:1 ლიონი (საფრანგეთი) (0:0)
 1:0 ინმაგი (25), 1:1 დიარა (31), 2:1 ინმაგი (88), 3:1 შევჩენკო (90)
მილანი: დიდა, სტამი (კოსტაკურტა 24), ნესტა, პალაძე, სერფინიო, გატუზო (მალდინი 78), პირლო (ამბროზინი 72), ზედორფი, კაკა, შევჩენკო, ინმაგი
მწვრთნელი: კარლო ანელოტი
ლიონი: კუპე, კლერკი, კრისი, კასაპა, აბიდალი, ჟუნინიო, დიარა, მალუდა, ვილტორდი, ფრედი (კარუ 71), გოგუ (რეველიერი 83)
მწვრთნელი: ფერარ ულიე
გაფრთხილება: გატუზო, ინმაგი, სერფინიო, მალდინი
მსაჯი: ტერიე პაუგე (ნორვეგია)
 82 000 მაყურებელი

„სან სიროზე“ საოცარი სანახაობა, ტაქტიკური ბრძოლა, ემოციებით დატვირთული და უადრესად დამაბული მატჩი გაიმართა. სათამაშო უპირატესობა თითქოს ფრანგების მხარეს იყო და ერთი შეხედვით ნახევარფინალში სწორედ

„ლიონი“ უნდა გასულიყო, მაგრამ „მილანის“ გამარჯვებას არანაირად არ ეთქმის დაუმსახურებელი. უბრალოდ, „როსონერომ“ ბოლო წამდე იბრძოლა და, ისევე როგორც სამი წლის წინ „აიაქსს“, შეხვედრის მიწურულს გამოჰკლიჯა მო-

გება „ლიონს“. გმირად ისევე როგორც „აიაქსთან“, ფილიპო ინმაგი იქცა, გოლის ალლოს საოცარი ნიჭით დაჯილდოვებული ფორვარდი. მილანელთა დაცვა და მეკარე ძალიან არადამაჯერებლად გამოიყურებოდა. „ლიონი“ თავიდანვე გაშინაურდა და ერთი-ორი მომენტიც შექმნა, მაგრამ საკმარისი იყო, მოედნის ცენტრში ფრედის ერთი შეცდომა და... კლარენს ზედორფმა მარცხენა ფლანგიდან ჩააწოდა, ხოლო ინმაგიმ პოზიცია მშვენივრად შეარჩია და ზუსტი თავურით გრეგორი კუპე გაუნძრევლად დატოვა. სტუმრებს გასათანაბრებლად ოდენ 6 წუთი დასჭირდათ. „მილანს“ კა-

რისკენ ჯარიმა დაინიშნა, ჟუნინიოსგან ყველა დარტყმას ელოდა, ხოლო მან ჩააწოდა და ლიონელებმა თავიდან ერთმანეთს ხელი კი შეუშალეს, მაგრამ დიარამ დასწრებაზე ივარგა.

შესვენების შემდეგ სცენარი არ შეცვლილა, სახიფათო მომენტები ორივე კართან იყო. მაშინ, როდესაც თითქმის ყველას ეგონა, ფრანგები გადიან ნახევარფინალში, კახა კალაძის პასს ანდრე შევჩენკოს შორეულ, დაბალ კუთხეში ძლიერი დარტყმა მოჰყვა, ბურთი ჯერ ერთ ძელს მოხვდა, მერე მეორეს და კარის წინ გაგორდა, მაგრამ ვინ განდებოდა მასთან პირველი, თუ არა ჰიპო ინმაგი...

მორალურად გატეხილმა „ლიონმა“, რომელსაც გამოცდილება და კლასი არ ეყო, მეორეც გაუშვა. დაცვის შეცდომით შევჩენკომ ისარგებლა და ეს ნაჩუქარი გოლი მისთვის 52-ე გამოდგა, რითაც უკრაინელმა რეალურ რაულს გადაასწრო და ჩემპიონთა ლიგის საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

შესაძლოა, ქომეგმა ვერ გაუგო ანჩელოტის, როცა მან 72-ე წუთზე მინდორზე მასიმო ამბროზინი, ხოლო 78-ეზე პალო მალდინი შეუშვა მაშინ, როდესაც „მილანს“ გოლი სჭირდებოდა. ხოლო ალბერტო ჯილარდინო სათადარიგოთა სკამზე იჯდა... არადა, ამ ცვლილებების წყალობით სერფინოს წინ წასვლის საშუალება მიეცა. ამბროზინი კი მოედნის ცენტრში გაამაგრა პოზიციები.

„ამ მატჩმა „აიაქსთან“ შეხვედრა მომაგონა. ბევრი ვინერვიულეთ, მა-

გრამ, საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დასრულდა. ფილიპო ინმაგი კი ყოველთვის იქაა, სადაც საჭიროა, მისი იმედი ნებისმიერ წუთს უნდა გქონდეს. „ლიონი“ კი ძალიან ძლიერი კლუბია. განსაკუთრებით ნახევარდაცვაში მათ ბრწყინვალედ ითამაშეს, მაგრამ ვფიქრობ, ორი მატჩის ჯამში ჩვენ სულ ცოტათი მეტი გავაკეთეთ“ — თქვა ანჩელოტი.

ფილიპო ინმაგი: „ეს ჯადოსნური საღამო იყო. ძალიან გახარებული ვარ გარჯა არც „ლიონს“ უნდა დაგუქარვოთ, რომელმაც ბრწყინვალე თამაში შემოგვთავაზა. ფრანგებს ძლიერი გუნდი ჰყავთ. გოლებს კი ჩემს ძმას ვუძღვნი, რომელსაც დაბადების დღე აქვს“.

„აიაქსთან“ მატჩი მოაგონდა კახა კალაძეს: „ასეთი დამაბული და ემოციური მატჩებზე საუბარი ყოველთვის ძნელია. საოცარი შეხვედრა იყო და დიდი მადლობა ფანებს, რომლებიც ყველანაირად გვერდზე დაგვიდგნენ. რწმუნა ბოლო წამებამდე არ დაგვიკარგავს“.

„ძალიან იმედგაცრუებული ვარ. ჩინებულად ვითამაშეთ და სამწუხაროდ, იღბალმა ზურგი გვაქცია. „მილანს“ ველონდით, მაგრამ მატჩის მიწურულს სულ მცირე მოდუნება ძვირად დაგვიჯდა. მეტოქემ კი ფაქტობრივად სამი მიმენტი შექმნა და სამივე გამოიყენა, თანაც სამივე კონტრიერის მოწყვეთა შეეძლო, ასეთი ფეხბურთელები რომ მყავს. უბრალოდ, ჩვენი მანსები უნდა გამოგვეყვებინა“ — განაცხადა ულიემ.

გიორგი კახაბაძე

ინტერი ნაცინოლურად შერცხვა

თელავი ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში!



შვილარაული (ესპანეთი) 1:0 ინტერი (იტალია) (1:2)
 1:0 არუაბარენა (58)
შვილარაული: ვიერა, ხავი ვენტა, კიკე ალვარესი, პენია, არუაბარენა, სენა, ტაკონარდი, სორინი (ზოსიკო 78), რიკელმე, ფორლანი (კალუზა 90), ხოსე მარი (ფრანკო 78)
მწვრთნელი: მანუელ პელეგრინი
ინტერი: ტოლოდო, კორდობა, მატერაცი, სამუელი, ხ. ძანტი, ფიგუ (მხაილოვიჩი 75), ვერონი (კრუზი 85), კამბიასო, სტანკოვიჩი, ადრიანო, რეკობა (მარტინსი 56)
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
გაფრთხილება: ტაკონარდი, ფიგუ, მარტინსი, ვიერა
მსაჯი: კიროს ვასარასი (საბერძნეთი)
 23 000 მაყურებელი

პარიზში გამართულმა კენჭისყრამ „ინტერს“ ლიგის მეოთხედფინალში მეტოქედ „ვილარაული“ რომ შეახვედრა, იტალიურმა სპორტულმა მედიამ ერთი ამბავი ატყვა — როგორ გაუმართლათ რობერტო მანჩინის და მის ბიჭებს, ლიგის დებიუტანტ და ღარიბი ისტორიის მქონე კლუბს იოლად გადათელა-

ვენ და ნახევარფინალში თავისუფლად გაიჭრებინათ. პრესას მაშინ „ინტერნაციონალეს“ მწვრთნელი მანჩინი არ დაეთანხმა, „ვილია“ საკმაოდ რთული მეტოქეაო, ხოლო იტალიელ ჟურნალისტებზე გაბრაზებულმა ესპანელთა თავკაცმა პელეგრინიმ განაცხადა: „ამბობენ, რომ ჩვენ უსახელო, ისტორიის არმქონე კლუბი ვართ. „ინტერს“ მოპოვებული ჯილდოების მხრივ ვერანაირად ვერ შევდრებით, თუმცა „ვილარაული“ თავის ისტორიას ახლა ქმნის, რითაც ლიგაზე ყველა სხვა გუნდზე საშიშია...“

„ელ მადრიგალზე“ შეხვედრის პირველ ტაიმში თავიდანვე მასპინძლებმა შეუტყეს — სხვა გზა არც ჰქონდათ, იტალიაში ხომ „ვილიაში“ 1:2 წააგო. „ინტერი“ თავს შესანიშნავად იცავდა. სადაც კი რიკელმე იყო, ესტებან კამბიასოც უმაღლესი განდებოდა ხოლმე. „ინტერის“ ფორვარდები, ადრიანო და რეკობა კი ძირითად უსაქმოდ იყვნენ. მათი თანაგუნდელები მეტოქის იერიშებს იგერიებდნენ და თავდამსხმელები პასებით ვერ მოამარაგეს.

შესვენების შემდეგ „ვილიამ“ იტალიელთა მისადგომების „დრენა“ განაგრძო და რიკელმემაც ტოლოდოს კარს გასაღები მოუძებნა — 58-ე წუთზე არგენტინელმა თანამემამულე არუაბარენას თავზე დაასვა ბურთი და გოლი გაატანინა. ამან „ინტერი“ ერთიანად მოშალა, ეტყობა, იტალიელები 90 წუთის განმავლო-

ბაში 0:0-ის შენარჩუნებაზე იყვნენ მომართული და გვემების ხელახლა გადაწყობა ვერ შეძლეს. მატჩრაცემ ჩვეულ უხეშობას მიმართა და კინაღამ მოკლა ხუან პაბლო სორინი — მსაჯისგან შეუძინველად მიუხედავად ძალით სთხლიშა იდაყვი სახეში. ადრიანოს, რეკობას, ფიგუს, ვერონის და მარტინსის „ინტერმა“ კი მიუღო თამაში მარტო ერთხელ, 92-ე წუთზე გაისროლა ვიერას კარისკენ სახიფათოდ. მეკარემ „ვილარაული“ გადაარჩინა...

„ეს სასწაული კი არა, დიდი შრომის შედეგი გახლავთ. თუმცა არ მინდა, ბიჭების თავგანწირვა მიიჩქმადოს, ისინი გმირები არიან“ — თქვა თამაშის შემდეგ პელეგრინიმ. „ინტერმა“ ისე ვერ ითამაშა, როგორც სალიგო მატჩს შეეფერება“ — განაცხადა წაგებულთა მწვრთნელმა მანჩინიმ.

ჩვენი თელავისხელა ქალაქის გუნდი კი უკვე ნახევარფინალშია და იქ ალბათ თავის ისტორიაში კიდევ ერთი გმირული თავის ჩაწერას აპირებს.

„კორიერე დელო სპორტის“ ცნობით, შესვენებისას „ინტერის“ გასახდელში ადრიანოს ეჩხუბნენ, უჯვივროდ რატომ თამაშობო. ჩხუბი ნამატჩვესაც ვაგრძელებულა, მილანში ჩასულ „ინტერს“ კი ვაკე-ბული ტიფოზები ლანძღვა-ვინებით დახვედრიან.

ლადო ხომერიკი





მსოფლიოს თასი

გერმანია 2006

9 ივნისი - 9 ივლისი



ს ჯგუფი

არგენტინა, კოტ დივუარი, სერბეთი, ჰოლანდია

ნუ გააოთქვავთ, უსჯიკრეთ

სერბეთ-ჩერნიგორიას, იმავე „ბლავის“ ანუ ლუგანს ევროპული სიურპრიზი რომ ვუწოდოთ, ალბათ არ შეეცდებით. თავად განსაჯეთ: მე-7 შესარჩევ ჯგუფში ყოფილ იუგოსლავიელთა მოწინააღმდეგეები იყვნენ ესპანეთი, ბელგია, ბოსნია და ლიტვა — მოდი, სან მარინოს ნუ მივათვლით — და ასეთ კომპანიაში სერბებმა პირველი ადგილი მოიპოვეს. მერედა, გუნდმა შესარჩევი ეტაპი წაუგებლად გაიარა, რაც არცთუ პატარა ევროპაში მის გარდა სულ შეიძლება შეძლოს. სერბეთმა მოიგო ექვსი შეხვედრა, ოთხი კი ფრედ დაამთავრა. გადამწყვეტი თამაში სერბებს მეზობელ ბოსნიასთან მოუხდათ, იმ საღამოს გმირი კი მატეა კეჟმანი გამოდგა, რომელზეც ქვევით მოგახსენებთ.

სერბეთ-ჩერნიგორია, მოგახსენებთ, ყოფილი იუგოსლავიის სამართალმემკვიდრეა და ამიტომ გამართლებულია იმის თქმა, რომ საფეხბურთო სარბიელზე ამ ქვეყანამ იუგოსლავიის სახელით პირველად ჯერ კიდევ 1930 წლის მუნდიალში მიიღო მონაწილეობა, სადაც ნახევარფინალამდე მივიდა. იქ, იუგოსლავიამ მასპინძელ ურუგვაისთან შეხვედრაში ანგარიში გახსნა კიდევ, მაგრამ... მათდა სამწუხაროდ, მატჩი მინც ურუგვაის გამარჯვებით, 6:1 დასრულდა.

სულ, იუგოსლავიას პლუს სერბეთი და ჩერნიგორია მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე ხუთჯერ არის წამყოფი და აქედან, საყოველთაო აღიარებით, საუკეთესო გუნდი 1998 წელს ჰყავდა.

ყველაზე ცუდი? ყველაზე ცუდი სერბეთი, ალბათ, რომელიმე მუნდიალზე კი არა, 2003 წელს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირზე იყო, როდესაც აზერბაიჯანთან წაგო და ამ მოვლენას მწვრთნელის შეცვლა მოჰყვა, დეიან სავიჩევიჩი იღია პეტკოვიჩმა შეცვალა.

გამართლდა თუ არა? ხომ ვითხარით, სერბებმა გერმანია 2006-ის შესარჩევი წაუგებლად გაიარეს.

მწვრთნელი: ილია პეტკოვიჩი ახალგაზრდობაში თავად თამაშობდა იუგოსლავიის ნაკრებში და მეტიც, 2001 წელს იორი თვის განმავლობაში წვრთნადა კიდევ გუნდს.



„ჩვენი წარმატების საიდუმლო შემადგენლობის პარამეტრებია. გამოცდილება და სიჭაბუკე კარგად შევუზავეთ ერთმანეთს. ახლა შემდგომი წინსვლისთვის მუხღმურული შრომა გვმართებს. ყველაზე დიდი შეცდომა წარმატების არასწორად შეფასება და არხეინობა იქნება. ხოლო რაც შეეხება პრობლემას, ის ასკარაა, მსოფლიოში ხალხს ჩვენი ქვეყნის სახელის წარმოთქმა უჭირს“ — ამბობს პეტკოვიჩი.

ყველაფერთან ერთად, სერბეთ ჩერნიგორიის წარმატება დიდად არის დამოკიდებული მის ოთხკაციან, შეუვალ დაცვაზე. ასე განსაჯეთ, ამ დაცვას ცალკე ვარსკვლავადაც კი განიხილავენ და „სახელოვან ოთხეულს“ უწოდებენ. აბა, სხვა რა უნდა უწოდო დაცვას, რომელმაც, ყარგონზე რომ ვთქვათ, ათ თამაშში მხოლოდ ერთი გოლი გაატარა.

„სახელოვანი ოთხეული“ წევრები არიან კაპიტანი მლადენ კრსტაჩი, ნემანია ვიდიჩი, ივიცა დრაგუტინოვიჩი და გორან გავრანჩიჩი. ვთხოვთ, აქვე მიაქციოთ ყურადღება ხსენებულ ათლეტთა სიმაღლეს: კრსტაჩი და გავრანჩიჩი 191 სანტიმეტრისანი არიან, ვიდიჩი კი 188 სანტიმეტრია. დავძინოთ ავრეთვე, რომ ოთხიდან ორი, დრაგუტინოვიჩი და კრსტაჩი 30 წლისანი ანუ, სხვა სიტყვებით, გამოცდილნი არიან. ნემანია ვიდიჩი 25 წლისა გახლავთ და სერბთა შორის ყველაზე ნიჭიერ მცველს უწოდებენ, სხვათა შორის, მას ფეხზე ორი თითი ერთმანეთზე მიბმული აქვს, 27-ის გავრანჩიჩი კი ბავშვობიდან ვალერი ლობანოვსკის რჩეულთაგანი იყო, ერთიხანობა კიევის „დინამოში“ თამაშობდა და 2003 წელს უკრაინის საუკეთესო მცველის ტიტულითაც დააჯილდოვეს.

საკვალიფიკაციო ეტაპის ვარსკვლავი: მატეა კეჟმანს, მადრიდის „ატლეტიკოს“ ფორვარდს შესარჩევი შეჯიბრების გმირი უწოდეს. ის ეროვნებით სერბია, 1979 წლის 12 აპრილს ეგუნში დაიბადა. კარიერა ბელგრადის „პარტიზანში“ დაიწყო, ნაკრებში კი პირველად 2000 წლის მაისში ითამაშა. ეს გახლდათ მატჩი ჩინეთთან, სადაც კეჟმანმა ანგარიში გახსნა.

იმავე წელიწადს სერბი ჰოლანდიაში, კერძოდ, „პსვე ეინდჰოვენში“ გადავიდა, სადაც ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა, 33 თამაშში 24 გოლი შეაგდო. „ფილიპს სტადიონზე“ მას ბეტმენი შეარქვეს. სულ, სამ ეინდჰოვენურ სეზონში კეჟმანმა 81 გოლი გაიტანა, რის შედეგადაც საყოველთაო ყურადღება მიიპყრო და 5 მილიონ გირვანქად აბრამოვიჩის „ჩელსიში“ ამოჰყო თავი.

აქ კეჟმანმა სეზონისწინა ბანაკში ფრიად გამოიჩინა თავი, ამხანაგურ შეხვედრებში გოლებიც გაიტანა და ერთ-ერთ ტურნირზე „რომას“ ოლივიე დაკურს არიენ რობენის გამო მუშტით ეჩხუბა კიდევ, მაგრამ დაიწყო პრემიერლიგის პირველობა და სერბს გოლების გატანის უნარი დაეკარგა. ის ლონდონელთა შემადგენლობაში ძირითადად სათადარიგოთა სკამიდან ხვდებოდა და საბოლოოდ მიაშურა კიდევ მადრიდს.

კეჟმანმა სერბეთ-ჩერნიგორიის შესარჩევ კამპანიაში ხუთი გოლი გაიტანა.

ლეგენდა: სერბულ-ჩერნიგორიული ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე გამოჩენილ ვარსკვლავად, მოდი, დეიან სავიჩევიჩი ვთქვათ და, ალბათ, მინცდამინც არავინ მოგვედგება.

სავიჩევიჩი 66-იანი გახლავთ, 15 სექტემბერს არის დაბადებული. კარიერა 15 წლისამ OFK ტიტოგრადში დაიწყო, ნაკრებში კი პირველად 1988 წელს ათამაშეს. შემდეგ გადავიდა „კრვენა ზვეზაში“, სადაც საძვერ ქვეყნის ჩემპიონის ტიტული და ორჯერ თასი მოიგო, 1991-ში გახდა ჩემპიონთა თასისა და საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელი და იმავე წელიწადს „ფრანს ფუტბოლის“ გამოკითხვით ევროპაში მებრე იყო. რაც შეეხება მის მიღწერ კარიერას, ამაზე დაწვრილებით აღარ შეეჩერდებით და მხოლოდ 1994 წლის ჩემპიონთა ლიგის დიდ ფინალს შეგახსენებთ, სადაც „მილანმა“ „ბარსა“ 4:0 გაანადგურა და ამ გოლებიდან ერთი, ულამაზესი, სწორედ სავიჩევიჩმა შეაგდო.



დეიან სავიჩევიჩი



მატეა კეჟმანი

სერბეთისა და ჩერნიგორიის ნაკრების ძლიერი მხარე დაცვა და მთელი გუნდის უაღრესი ორგანიზაციაა.

ნახევარდაცვაში ფანტაზიის ოდნავი ნაკლებობა და შესაძლოა გამოუცდელიობაც.

აზრი: BBC-ს ბელგრადელი კორესპონდენტი მეტ პრობლემა ამბობს: „სერბები გოლს არ უშეგებენ და არ მარცხდებიან, იმავდროულად კი მათ ფავორიტებად არაყინ მიიჩნევენ და ეს უპირატესობაა. გუნდს აკლია ვარსკვლავები, თუმცა მთლიანობაში ძლიერად და სტაბილურად თამაშობს. ამ ყველაფერს დაამატეთ სერბული ხასიათი და ელოდეთ სიურპრიზებს“.

სერბეთის ნახრების ჯგუფური მატჩების განრიგი

11 ივნისი	სერბეთი — ჰოლანდია	ლაიპციგი
16 ივნისი	არგენტინა — სერბეთი	გელზენკირხენი
21 ივნისი	კოტ დივუარი — სერბეთი	მიუნხენი

სერბეთის გზა ფინალური ეტაპისაკენ

04.09.2004	სან მარინო — სერბეთი	0:3
09.10.2004	ბოსნია — სერბეთი	0:0
13.10.2004	სერბეთი — სან მარინო	5:0
17.11.2004	ბელგია — სერბეთი	0:2
30.03.2005	სერბეთი — ესპანეთი	0:0
04.06.2005	სერბეთი — ბელგია	0:0
03.09.2005	სერბეთი — ლიტვა	2:0
07.09.2005	ესპანეთი — სერბეთი	1:1
08.10.2005	ლიტვა — სერბეთი	0:2
12.10.2005	სერბეთი — ბოსნია	1:0

საბოლოო ცხრილი

სერბეთი	10	6	4	0	16:1	22
ესპანეთი	10	5	5	0	19:3	20
ბოსნია	10	4	4	2	12:9	16
ბელგია	10	3	3	4	16:11	12
ლიტვა	10	2	4	4	8:9	10
სან მარინო	10	0	0	10	2:40	0



ჩემპიონთა ლიგა 2005-2006. მეოთხედფინალი. საპასუხო მატჩი. ნუგელ

ბარსელონა (ესპანეთი) 2:0 ბენფიკა (პორტუგალია) (0:0)
1:0 რონალდინიო (19), 2:0 ეტოო (88)
რონალდინიომ ვერ გაიტანა პენალტი (5, მეკარე)
ბარსელონა: ვალდესი, ბელეტი, პუიოლი, ოლეგერი, ვან ბრონკოორსტი, ვან ბომე-ლი (ედმილსონი 84), ინისტა, დეკო, რონალდინიო, ეტოო, ლარსონი (ჟიული 86)
მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი
ბენფიკა: მორეტო, რიკარდუ როზა, ლუიზაო, ანდერსონი, ლეო, ბეტუ (რობერი 72), პეტეტი, მ. ფერნანდესი (მარსელი 82), ჯოვანი (კარაგუნისი 55), სიმაო, მიკოლი
მწვრთნელი: რონალდ კუმანი
გაფრთხილება: დეკო, ეტოო, ფერნანდესი, ლუიზაო, ანდერსონი
მსაჯი: ლუბომ მიხელი (სლოვაკეთი)
90 000 მაყურებელი

ბარსელონას ნერვიულობა და ინგლისელთა კატენარიო



რონალდინიომ უხვირო პენალტი თოთხმეტ წუთში გამოისყიდა

ნადირებული 0:0-ით განამტკიცა და ნახევარფინალში „ვილიარეალს“ ეთამაშება. და მოდით, ნურავინ იტყვის, ინგლისურ გუნდებს დაცვიდან აწყობილი ტაქტიკური თამაში არ ეხერხებათო. ღონღონე-ღმამა „მეთოფეებმა“ „სტადიო დელე ალბიზე“ სწორედ ასეთი ფეხბურთის კლასიკური და ძალიან მაღალი დონის თამაში აჩვენეს. მთელი მატჩის განმავლობაში საკმარისი იყო, ბურთი რომელიმე იუ-

ვენტუსელს მიეღო, რომ სტუმარი გუნდის მოთამაშე წამსვე მჭიდროდ აეკრებოდა, ხოლო მათ უკან დაზღვევითა ქსელიც სათანადოდ იქსოვებოდა. ასეთმა თამაშმა არსენ ვენგერის შეგირდებს კონტრშეტევების საშუალებაც მისცა და სტუმართა მეტი სახიფათო მომენტიც ამით იყო განპირობებული. რაც შეეხება „იუვენტუსს“, იტალიის ჩემპიონმა აშკარად ვერ აღიდგინა ის ფორმა, სექტემბრიდან

მარტამდე თამაშს თამაშზე რომ აგებინებდა. „იუვენ“ სამართლიანად დამარცხდა, ხოლო პაველ ნედეკმა ზედმეტი მოწადინების გამო თამაშის ბოლოს იუხემა კიდევ და გერმანელმა მსაჯმა პერბერტ ფანდელმა, რომელსაც ინგლისურმა პრესამ „პვე ეინდპოვენთან“ ორი წლის წინანდელი თამაშის გამო წინასწარ სულ „არსენალის“ მტერი უმახა, მოედნიდან დაითხოვა.

პაპუნა კედი

ნაგალი „სალსინო“
ქართული ფლორის საოცრება
თუ განუხებთ პროსტიტუტი, ცისტეტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდის დროს წვა, შარდსადენი ხერხელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამოწვინება; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელის არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუქმყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მომლობობა და იმპოტენცია, მიიღეთ ნაგალი „სალსინო“ და ეს პროკლამაცია მოგახსენებთ.
„სალსინო“ ანესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს. „სალსინო“ გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქობადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), პეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გიგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. „სალსინო“ აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. ნაგალი „სალსინო“ კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს — მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით. ნაგალი „სალსინოს“ თვისებები აპრობირებული და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.
იკითხეთ და შეიძინეთ ავთიაქაუმი
ნაგლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.

სარბიელი სამუშაოდ ინვეზს
გაზეთში ნამუშევარ დაგეგმვა დონეებზე
მსურველებმა მოგვიკითხეთ „სარბიელის“ რედაქციაში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, I კორპუსი, IV სართული, 15-დან 18 საათამდე. (ორშაბათის და პარასკევის გარდა)
ცნობებისთვის დარეკეთ 39-48-29, 38-11-14

უოტლანდია
პრემიერლიგა
გადაღებული მატჩები
სეპტიმი 1:0 პარტი
პიპარენიანი 2:1 კილმარნიკი
გერმანია
ჩრდილოეთ ჩემპიონალიგა
გადაღებული მატჩები
თეინი 1:1 მიუსტარი
ჰარტა (ა) 1:1 კილი
სამხრეთ ჩემპიონალიგა
გადაღებული მატჩები
ბაიერნი (ა) 0:0 აუგსბურგნი
ააღნი 1:1 კოლენი
მსაგამი
სემპლადივიზიონი
გადაღებული მატჩი
ერკლესი 0:3 ხერსი
დანია
პირველი დივიზიონი
გადაღებული მატჩები
ფრეი 2:0 სიოლნი
ჰაილა 1:1 ნიკოზინი

სარბიელი
საორტული გაზეთი
გამომცემელი ზურაბ ჯორჯაძე
დირექტორი ბიორგი მორგაძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიხრაიული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამაძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა შალამაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე
კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნიხაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: ვანა სპინაშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: ვიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანი, გიორგი ვაშაყიძე
ვიორგი კაკაბაძე, ლადო ხოშორიკი
ინფორმაციის რედაქცია: ირაკლი ჯორჯაძე
ინფორმაციის რედაქცია: ვია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკლიძე, ირაკლი პერტაია, ბაიო ხვანიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოღუჯაშვილი, ბადრი კვიციანი
სტილისტები: ნათელა გიორგობაძე, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ელიზა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ფატი დგალიშვილი, მარია დორაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი
სარბიელის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო №208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieri@gol.ge
ელექტრონული ვებგვერდი
http://www.sarbieri.com.ge